



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის სამასწავლებლო სკოლა

თბილისის სამასწავლებლო სკოლა, საოსტატო ინსტიტუტი, პირველი პედაგოგიური სასწავლებელი საქართველოში. გაიხსნა 1866 თბილისში. თავდაპირველად სამი კლასისაგან შედგებოდა, იღებდნენ დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულებს; 1871-იდან გადაკეთდა საოსტატო-სამასწავლებლო ინ-ტად და ეწოდა ალექსანდრე II-ის სახელი. ამზადებდნენ მასწავლებლებს ამიერკავკ. საქალაქო (შემდგომში – უმაღლესი დაწყებითი) სასწავლებლებისათვის. სწავლება 4-წლიანი იყო, რუს. ენაზე. ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, პედაგოგიკას, რუს. ენას, გეოგრაფიას, ისტორიას, არითმეტიკა-გეომეტრია-ხაზვას, ბუნებისმეტყველებას, ჰიგიენასა და პოპულარულ მედიცინას, სუფთა წერას, გალობას, აგრეთვე ტანვარჯიშსა და ხელგარჯილობას. ქართ. ენა არასავალდებულო საგანი იყო და კვირაში 4 საათი ეთმობოდა. სკოლა ყოველწლიურად სამუალოდ უშვებდა 14-15 მასწავლებელს. თ. ს. ს-მ 1919-მდე იარსება. ამავე წელს გადაკეთდა თსუ-ის პედაგოგიურ ინ-ტად (იხ. თბილისის საპედაგოგიო ინსტიტუტი), რ-მაც 1923 წ. ივლისამდე იარსება.

დ. გურგენიძე
